

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბესიკ კუპრაძის მოსახლეობასთან
შეხვედრის და 2018 წლის ანგარიშის

წარდგენის ოქმი.

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

სოფელი, თემი, დაბა: სუფსის ადმინისტრაციული ერთეული

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 28.06.2019 წელი 12:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი ზურაბ კუკულავა, მერის წარმომადგენელი სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში დავით გუმბარიძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე და სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ავალდებულებს, საკრებულოს წევრს რომ წელიწადში ერთხელ თავის ამომრჩეველს წარუდგინოს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, რათა მოსახლეობა იყოს ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რა სამუშაო განხორციელდა ადმინისტრაციულ ერთეულში. აღნიშნა, რომ პრობლემა ბევრია და ყველაფერი ერთბაშად ვერ მოგვარდება, მაგრამ უნდა მოხდეს პრიორიტეტის გამოკვეთა.

ანგარიშის წარდგენამდე საკრებულოს წევრი ბესიკ კუპრაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მოსახლეობას მობრძანებისა და ჩართულობისთვის. მან აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტის 131-ე მუხლის შესაბამისად, გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი - საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება.

საკრებულოს წევრმა ბესიკ კუპრაძემ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 88-ე მუხლის თანახმად წარმოადგინა 2017 წლის 20

ნოემბრიდან 2018 წლის 20 ნოემბრამდე მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. მან აღნიშნა, რომ ანგარიშგება მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო პროცესია, რომელიც არა მარტო გაწეული საქმიანობის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს შეიცავს, არამედ საშუალებას იძლევა გაანალიზონ, თუ რისი გაკეთება შეძლეს და რა შეიძლება დაგეგმონ სამომავლოდ.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში იგი უფლებამოსილებას ახორციელებდა საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიაში: 1)სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია; 2)სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია, ამავდროულად არის ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე.

მონაწილეობა მიიღო საკრებულოს, როგორც რიგით ასევე რიგგარეშე სხდომაზე 21-ჯერ. საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით და საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით დაესწარო სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას 5-ჯერ, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას 5-ჯერ.

მისი ხელმძღვანელობით მოწვეული და ჩატარებული იქნა ფრაქცია „ ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“-ს 13 სხდომა, სადაც განხილულ იქნა ფრაქციაში შემოსული კორექსიონები.

საანგარიშო პერიოდში ფრაქციის სხდომაზე აქტიურად იყო ჩართული 2019 წლის ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცებაში, რომელიც ფრაქციის მიერ მუნიციპალიტეტის მერს შენიშვნებით დაუბრუნდა კანონით დადგენილ ვადებში. უმეტესი შენიშვნები მერიის მიერ გათვალისწინებული იქნა. აგრეთვე აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა პროექტების მომზადება-დამტკიცებაში. საკრებულოზე მისაღები ყველა სამართლებრივი აქტი განიხილა ფრაქციამ, რომელიც მათ მიერ იქნა მხარდაჭერილი.

როგორც სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მკვიდრი აქტიურად იყო ჩართული, რათა სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულიყო მთელი რიგი ინფრასტრუქტურული პროექტები. 2018 წელს შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. კერძოდ:

- სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მოხდა გაზიფიცირება;
- რამზე გოგუას სახლის წინ მილ-ხიდის მოწყობა;
- ახალსოფელში რკინიგზის მიმდებარედ რკინა-ბეტონის ხიდის მოწყობა;
- სუფსაში ე. წ „ზდანიებთან“ არსებული სანიაღვრე არხის გაწმენდა

მან ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტის შესახებ, რომ საქართველოს მთავრობის მიერ აღდგენილი იქნა სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, სადაც სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულს სულ გამოეყო 92 000 ათასი ლარი, რომელიც დაიხარჯება სოფლის მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით.

გარდა ამისა, სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში დაგეგმილია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება:

- ახალსოფელში, ტაბანათსა და სუფსის ცენტრში მოეწყობა გარე განათება;

- რეაბილიტაცია ჩაუტარდება სკვერს სოფლის ცენტრში;
- სოფელ გრიგოლეთსა და მალთაყვაში იგეგმება საერთო სასაფლაოს ტერიტორიის შემოღობვა;
- ჩქუნში სასაფლაოსთან მისასვლელ გზას რეაბილიტაცია ჩაუტარდება;
- ხიდმაღალაში მოეწყობა შიდა გზები.
- მუნიციპალური ფონდის მხარდაჭერით დაიწყება სუფსაში საბავშვო ბაღის მშენებლობა. ოთხჯგუფიანი შენობა ყველა თანამედროვე სტანდარტს და მოთხოვნას დააკმაყოფილებს.
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უშუალო გადაწყვეტილებით, სუფსაში აშენდება ამბულატორია.
- რეგიონალური ფონდის გადაწყვეტილებით დაწყებულია წყლის სისტემის მოწყობა და გამრიცხველიანება, სასმელი წყალით 47 ოჯახი იქნება უზრუნველყოფილი.

თუმცა, მისი თქმით სუფსაში მაინც მწვავედ დგას წყლის პრობლემა. გაირკვა, რომ სოფლის უმეტეს ნაწილს უწყლობა აწუხებს, ვინაიდან დებეტი დაბალია და მილებიც დაიზანებულია. ასევე პრობლემურია შიდა გზების საკითხი უნაგირას უბანში და სუფსა-დემადელის დამაკავშირებელ მონაკვეთზე.

საკრებულოს თავმჯდომარის ბესიკ ტაბიძის განცხადებით, ღრმადელესთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია მუნიციპალური სახსრებით შეუძლებელია. პროექტი უკვე მომზადებულია. მუნიციპალიტეტი აწარმოებს მოლაპარაკებებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან აღნიშნულ საკითხზე შესაძლო დახმარების მიღების თაობაზე.

ამის შემდეგ, საკრებულოს წევრმა ბესიკ კუპრაძემ მოსახლეობას მიმართა თხოვნით, რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული, ასევე პირადი პრობლემების შესახებ.

სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის ოჯახის ექიმის ავთანდილ ჯიჯიეიშვილის აზრით, მოსახლეობა არ არის სრულად ინფორმირებული ამა თუ იმ პროგრამის შესახებ. კერძოდ, როგორც მთავარმა ექიმმა, მან აღნიშნა, რომ ქრონიკულად ავადმყოფ მოსახლეობას ერთ ლარად შეუძლია მიიღოს საჭირო წამლები. ამასთან, ჩამონათვალში გაიზარდა ძვირადღირებული მედიკამენტების სპექტრი, რომელთა შეძენა სოციალურად დაუცველებს შეუძლიათ უფასოდ, ხოლო ასაკით პენსიონრებს და ინვალიდებს-50 %-იანი თანადაფინანსებით.

ახალსოფლის საბავშვო ბაღის მენეჯერმა, ნუნუ სალუქვაძემ აღნიშნა, რომ სუფსაში ახალი საბავშვო ბაღის აშენების შემდეგ, მას ახალსოფლის ბაღიც შეუერთდება. იგი დაინტერესდა შემდგომში როგორ მოხდებოდა თანამშრომლების გადანაწილება.

ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზე მწვავედ დგას წყლის მიწოდების საკითხი. თავის დროზე, მათი თხოვნით გამოიცვალა ძრავი და რეზინის მილები, მაგრამ პრობლემა მაინც მოუგვარებელია, ვინაიდან

მოსახლეობა წყლის საფასურს არ იხდის. აქედან გამომდინარე, მათი თხოვნაა, რომ მოხდეს მოსახლეობის გამრიცხველიანება.

ასევე, ადგილობრივი მოსახლეობის თქმით მწვავე პრობლემას წარმოადგენს სუფსა-ღრმაღელის დამაკავშირებელ გზაზე არსებული მდგომარეობა, სადაც განხორციელდა გზის დაგრიდებრა, რის შედეგად ავტომანქანები გადაადგილდებიან სწრაფად, გზაზე და მიმდებარე ტერიტორიაზე დგება მტვერი და ქმნის გაუსაძლის მდგომარეობას. მათ ასევე ყურადღება გაამახვილეს „უნაგირას“ გზაზე შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით და აღნიშნეს, რომ არსებული პრობლემა აუცილებლად და სასწრაფოდ უნდა იქნას მოგვარებული. კერძოდ, აღნიშნულ მონაკვეთზე განთავსებულია „ჰაიდელბერგ ცემენტი“-ს ტერმინალი, გაზგასამართი სადგური და ნავთობის ბაზა. ყოველივე აქედან გამომდინარე, მიმდებარე ტერიტორიაზე არის ხმაური და ვიბრაცია, ასევე დგას ცემენტის ბული და მტვერი, რაც ადამიანების ჯანმრთელობისთვის წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს.

ბესიკ კუპრაძემ აღნიშნა, რომ საწარმო წარმოადგენს გერმანულ კომპანიას, „ჰაიდელბერგ ცემენტი“-ს ტერმინალის მიერ დარღვეულია უამრავი სტანდარტი. პრობლემასთან დაკავშირებით თავის დროზე მოსახლეობამ პროტესტის ნიშნად გადაკეტა რკინიგზის მაგისტრალი. საქმეში ჩაერთო როგორც ზემდგომი ორგანოები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები, მაგრამ საკითხი ვერ მოგვარდა. ამის შემდეგ, კომპანიას სამჯერ მიმართეს წერილობით, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს მოსახლეობა ტერმინალზე მივიდა, რათა შეხვედროდა საწარმოს ხელმძღვანელობას, მაგრამ ადგილზე არავინ დახვდათ. საკრებულოს წევრებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნული საკითხი საჭიროებს ერთობლივ და სხვანაირ მიდგომას. ყოველივე ამასთან დაკავშირებით, საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ აღნიშნა, რომ უნდა ჩამოვიდნენ კომპანიის წარმომადგენლები. მათი მხრიდან შეხვედრა უნდა შედგეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და მოსახლეობას შორის, რათა გამოინახოს გზები აღნიშნული პრობლემის დროულად და სათანადოდ მოსაგვარებლად.

მოქალაქე ავთანდილ მანჯგალაძემ თხოვნით მიმართა მაჟორიტარ დეპუტატს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლებს დახმარების თაობაზე იმასთან დაკავშირებით, რომ სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოს დასრულების შემდეგ, მათ ანაზღაურება დღემდე აუღებელი აქვთ.

ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, საყანე ფართობებთან გასაწმენდია დაახლოებით 220 მეტრ სიგრძის არხი. ასევე, მათ აღნიშნეს, რომ ავტობანის მაგისტრალის მიმდებარედ სამოვარზე ვერ გადადის საქონელი. გარდა ამისა, შესალობია საყანე ფართობები, რადგან ავტობანის მხრიდან ხაჯალის ფართობებზე შედის საქონელი. მართალია, დარაჯი არის, მაგრამ ვერ აქცევს სათანადო ყურადღებას.

მოქალაქე ამირან კუპატაძემ აღნიშნა, რომ ახალსოფელში დაზიანებულია საყანე ფართობებთან მისასვლელი ხიდი, რაც სერიოზულ პრობლემას უქმნის მოსახლეობას. მან თხოვნით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, რათა გადაეცეთ სუფსის რკინიგზასთან არსებული მიწები, რომელთა გამოყენება სრულიად შესაძლებელია აღნიშნული ხიდის აღსადგენად.

მოქალაქე აივაზ ზოიძემ დახმარების თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლებს მის საცხოვრებელ სახლთან შექმნილი სიტუაციის გამო. აღნიშნა, რომ ავტობანის მაგისტრალის მშენებლობის შედეგად გზა გადის უშუალოდ მისი სახლის წინ, რაც საფრთხეს უქმნის როგორც მისი ოჯახის წევრებს და მათ შორის, მცირეწლოვან ბავშვებს, ასევე სერიოზული ზიანი მიადგა უშუალოდ საცხოვრებელ სახლს, რომელიც დაიბზარა და ფაქტიურად, დანგრევის პირასაა. ყოველივე აქედან გამომდინარე, სახლში ცხოვრება საფრთხის შემცველია. მისი თქმით, აღნიშნული პრობლემის შესახებ შეიტანა განცხადება, რაზეც აქამდე არანაირი რეაგირება არ ყოფილა. ამის შემდეგ, პროტესტის ნიშნად აპირებდა გზის გადაკეტვას, მაგრამ პირიქით, მას დააკისრეს პირობითი სასჯელი.

ბესიკ კუპრაძემ და ზურაბ კუკულავამ აღნიშნა, რომ მოქალაქე აივაზ ზოიძის მდგომარეობა მართლაც გაუსაძლისი და დროულად ყურადსაღებია. მით უმეტეს, რომ მის საცხოვრებელ სახლთან კეთდება ესტაკადა, რაც კიდევ უფრო ამწვავებს ამ ოჯახის პრობლემას. ანალოგიურ სიტუაციაში იმყოფება ჭანტურიების ოჯახიც. მათ ადგილზე ნახეს არსებული მდგომარეობა, რის შესახებაც ესაუბრნენ კომპანიის ხელმძღვანელებს. ასევე, შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდეს დეპარტამენტში, მაგრამ დღემდე არანაირი რეაგირება არ ყოფილა და პრობლემის ირგვლივ შექმნილია გაურკვეველი სიტუაცია.

შეხვედრის ბოლოს საკრებულოს წევრი ბესიკ კუპრაძე სოფლის მოსახლეობას დაპირდა, რომ გააგრძელებს აქტიურ მუშაობას როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ასევე ამომრჩევლებთან ერთად გადაწყდეს ყველა ის პრობლემა, რომელიც აწუხებს სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას, რათა 2019 წელი უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იყოს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

ბესიკ კუპრაძე

ფრაქციის თავმჯდომარე
ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"